ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N–14

ქ.თბილისი 1 დეკემბერი–2016 წ.

1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა

1.1 ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ,, ხელშეკრულება შემდგომ ,,ხელშეკრულება,, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ,, საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულებაა,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზედ თან დართული ყველა დოკუმენტით რომელიც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია,, შემდგომ ,,შემსყიდველი ,, ნიშნავს ორგანიზაციას რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 ,,მიმწოდებელი,, ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს. რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4 ,,ხელშეკრულების ღირებულება,, ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

2.1 ქვემო ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა.ი.პ საგარეჯოს N 105 კომპლექსურ სასპორტო სკოლის (ს|კოდი–238156785) დირექტორის ი.მარხვაშვილის სახით (წოდებული როგორც შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შ.პ.ს ,,აკვალაინი,,(ს|კოდი 205124435) მისი მენეჯერის ნ. მექვაბიძის სახით (შემდგომში წოდებული როგორც მიმწოდებელი)ვხელმძღვანელობთ რა მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინა მდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

3 ხელშეკრულების საგანი და ობიექტი.

3.1 ხელშეკრულების საგანია საგარეჯოს N–105 კომპ. სასპორტო სკოლის საცურაო აუზის წყლის ცირკულარული ტუმბოების (2 ცალი) შესყიდვა (CPV კოდი 42100000 ქვ.კოდი–42122130) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ,, მე–10 მუხლის მე–3 პუნქტის –ს ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ფასები.

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე–3 პუნქტში დაფიქსირებული მომსახურების ფასები წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრს.

4.2 შესყიდვის ობიექტის (ცირკულარული ტუმბო-2 ცალი)საერთო ღირებულება შეადგენს 860 (რვაას სამოცი) ლარს. ერთეულის ფასი–430,00 ლ.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი.

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15დეკემბრამდე.

5.2 მიწოდების ადგილი, ქ, თბილისი , საბურთალოს ქN38

5.3 ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ,,შემსყიდველი,,

6. ანგარისწორების ფორმა და ვადები.

6.1 ,,მიმწოდებელთან,, ანგარისწორება ხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარისწორებით.

6.2 მიწოდებული საქონლის ანაზღაურება განხორციელდება მიწოდებიდან ორი კვირის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები.

7.1 ,,მიმწოდებელი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე და დროულობაზე.

7.2 ,, შემსყიდველმა,, კი ვალდებულია დროულად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

7.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

8. მხარეთა უფლება– მოვალეობები.

8.1 შემსყიდველი და მომწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია.

—— ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოს შესახებ.

8.3 შემსყიდველს უფლება აქვს.

—— განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

—— საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია.

—— დაიცვას ხელშეკრულბით გათვალისწინებული პირობები.

—— დააკმაყოფილოს შემსყიდველის თხოვნა დამატებითი მონაცემების წარდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემსთხვევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა შესყიდული საქონლის საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით თვითეულ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9. უფლებების გადაცემა.

9.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი ნებართვის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობები.

10. ფორს –მაჟორი

10.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შემთხვევაში, მათგან გადაულახავი წინააღმდეგობის წარმოშობისას (სტიქიური მოვლენები, დივერსიული ქმედებები, სამხარი მოქმედებები,სახელმწიფო კანონმდებლობის შეცვლა და სხვა)

10.2 ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან თავისდროულად აცნობონ ერთმანეთს 24 საათის განმავლობაში დადგენილი წესითა და ფორმით წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთ პრეტენზიები არ მიიღება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა.

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დავების გადაწყვეტის წესი.

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარონ, რათა პირდაპირ ოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხებზე შეთანხმებას ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30დეკემბრამდე.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები.

,,შემსყიდველი,,	,,მიმწოდებელი,,
ა.ი.პ საგარეჯოს N 105 კომპ.	შ.პ.ს ,,აკვალაინი,,
სასპორტო სკოლა.	მის.ქ.თბილისი, გ.კარტოზიას–N6
მის. ქ.საგარეჯო. კოსტავას N4	ს|ს „თიბისი ბანკი“
დირექტორი. ი. (ი. მარხვაშვილი)	ბანკის კოდი–TBCBGE22
	ა|ა N–GE55TB1100000360200073
	მენეჯერი: (ნ. მექვაბიძე)